ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის
სხდომის ოქმი N4

ქ. ლანჩხუთი

18.03.2022 წ

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:** საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე; გიორგი იმნაიშვილი, ზაზა წულაძე, ლოლიტა ურუშაძე, ელისო ჭიჭინაძე, სპარტაკ კვაჭაძე, ჯუმბერ ბლაგიძე.

**სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები:** გივი ცინცაძე, გიორგი გოგუაძე, კახა თედორაძე, ემზარ თევდორაძე.

**მოწვეული პირი:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ხელაძე.**

**სხდომას ესწრებოდნენ:** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ებრალიძე** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე.**

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი იმნაიშვილმა სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინელ ხალხს და სხდომის მონაწილეებმა ფეხზე ადგომით წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს უკრაინაში დაღუპულ გმირებს.

**კომისიის თავმჯდომარემ გიორგი იმნაიშვილმა** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გ. იმნაიშვილი/

2. სხვადასხვა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

**მომხრე 6; წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის პირველ საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილებები შედის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში. თუ რა სახის

ცვლილებებია ცნობილია კომისიის წევრებისათვის. აღნიშნული ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ ჩვენი საკრებულოს რეგლამენტი შესაბამისობაში იყოს საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ შეტანილ ცვლილებებთან.

**კომისიის წევრმა** ჯუმბერ ბლაგიძემ აღნიშნა, რომ დიდი სურვილი აქვს მხარი დაუჭიროს წარმოდგენილ ცვლილებებს, და იქნებ მოხერხდეს საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების ხარჯების ზღვრული სიდიდე გაიზარდოს რადგან გაძვირდა საწვავი და ამდენად გართულდა გადაადგილება და მოსახლეობასთან შეხვედრა, მითუმეტეს, რომ საკრებულოში ასეთი სულ 7 დეპუტატი ვართ. ასევე მოსაფიქრებელია მოწვეული სპეციალისტის ჩართვა საკრებულოს მიერ შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფების, კომისიების და ფრაქციების მუშაობაში.

**კომისიის წევრი** ელისო ჭიჭინაძემ დაეთანხმა ჯუმბერ ბლაგიძის წინადადებას საკრებულოს წევრის უფლემასილების განხორციელების ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ ჯერჯერობით ხარჯების ზღვრული სიდიდე რომელიც წარმოდგენილია პროექტში, შეთანხმებულია საკრებულოს თავმჯდომარესთან და ანალოგიურია სხვა საკრებულოებში არსებული ოდენობისა, ვნახოთ საკრებულოს სხდომამდე არის რამდენიმე დღე, შეიძლება შეიცვალოს.

**კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა განკარგულების პროექტს;

მომხრე: 5 ; თავი შეიკავა: 1.(ჯუმბერ ბლაგიძე).

სხვადასხვა:

**დეპუტატმა ჯუმბერ ბლაგიძემ** აღიშნა, რომ მისახედია გრიგოლეთიში მოქალაქე მაია მოდებაძის საცხოვრებელ სახლთან მისასვლელი გზა. სუფსაში მუნიციპალიტეტის მიერ გაკეთებული სანიაღვრე არხები არის გასაწმენდი.შესაბამისი სამუშაოებიც მუნიციპალიტეტმა უნდა შეასრულოს.

ამით კომისიამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული

დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: /გიორგი იმნაიშვილი/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის დასკვნა N4

ქ. ლანჩხუთი

18.03.2022 წ.
11.00 საათი

2022 წლის 18 მარტს მოწვეული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გ. იმნაიშვილი/

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

**დღის წესრიგის პირველი საკითხი**: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის

თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი შენიშვნების გარეშე გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული

დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის

კომისიის თავმჯდომარე: /გიორგი იმნაიშვილი/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისიის სარეგისტრაციო ფურცელი

18.03.2022 წელი
11:00 საათზე

| | სახელი, გვარი | დაწყების დრო | ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| 1. | სხდომის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი | 10.50 | |
| 2. | ემზარ თევდორაძე | — | |
| 3. | სპარტაკ კვაჭაძე | 10-57 | |
| 4. | ელისო ჭიჭინაძე | 10 50 | |
| 5. | კახა თედორაძე | — | |
| 6. | ლოლიტა ურუშაძე | 10:55 | |
| 7. | ზაზა წულაძე | 10 50 | |
| 8. | გიორგი გოგუაძე | — | |
| 9. | გივი ცინცაძე | — | |
| 10. | ჯუმბერ ბლაგიძე | 10 45 | |